FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

#WORLDFORUKRAINE #STOPPUTINNOW #STOPWAR #PUTINWORLDCRIMINAL

WORLD FOR UKRAINE.

საფრანგეთი უკრაინისთვის

საფრანგეთი უკრაინისთვის

„როგორც მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ინტერესების მქონე ბირთვული სახელმწიფო, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის თანადამფუძნებელი ქვეყანა, საფრანგეთი აცნობიერებს, რომ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში მას დამაბალანსებელი ძალის სტატუსი გააჩნია. საფრანგეთი ერთგული რჩება მსოფლიო წესრიგის, რომელიც კანონს და ადამიანის ღირსების დაცვას ეფუძნება. ეს წესრიგი შესაძლოა ნაწილობრივ შელახული იყოს, თუმცა კვლავაც განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას.“ – საფრანგეთის გენერალური შტაბის სტრატეგიული ხედვა, ოქტომბერი 2021[1]

2022 წლის 9 მაისი უკრაინის უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღად გადაიქცა. ამ დღეს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯოზეფ ბაიდენმა, უკრაინისა და თავად შეერთებული შტატებისთვის ისტორიულ განკარგულებას მოაწერა ხელი. საქმე ეხება „უკრაინის დემოკრატიის დაცვის ლენდ-ლიზის 2022 წლის აქტს“, რომელიც შეერთებული შტატების აღმასრულებელ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს უკრაინას დახმარება ბიუროკრატიული პროცედურების გვერდის ავლით გაუწიოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მიღებული ეს აქტი უკრაინას აძლევს შესაძლებლობას მიიღოს მსოფლიოს ყველაზე მძლავრი ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების მქონე ქვეყნის პრაქტიკულად შეუზღუდავი დახმარება უკიდურესად ხელსაყრელი პირობებით.

9 მაისი ნიშანდობლივი აღმოჩნდა უკრაინისთვის ევროპულ კონტექსტშიც. ამ დღეს საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი სტრასბურგში, ევროპის კავშირის პარლამენტში გამოვიდა სიტყვით. რამდენიმე კვირით ადრე მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევის შემდეგ ის საფრანგეთის პრეზიდენტების ტრადიციის თანახმად, პირველი ოფიციალური ვიზიტით ბერლინში გაემგზავრა, გზად კი სტრასბურგში შეჩერდა, სადაც ევროპის დღესთან დაკავშირებით დეპუტატების წინაშე წარსდგა პირველად საარჩევნო გამარჯვების შემდეგ. ბევრისთვის მოულოდნელად მაკრონმა ამ ტიპის გამოსვლებისთვის დამახასიათებელი რუტინულ ხასიათს გადაუხვია და ევროპის კავშირის პოლიტიკური მოწყობის ფუნდამენტური ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი სიტყვიდან ნათელი იყო, რომ ამ ცვლილებების გატარებაზე ფიქრის მნიშვნელოვანი იმპულსი 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებები და მისი შედეგები იყო. ევროპულ ინსტიტუტებზე დემოკრატიული კონტროლის და სოციალური სამართლის გარდა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ევროპის კავშირის გაფართოების პოლიტიკის პრინციპებისა და პროცედურების ცვლილებებზე ისაუბრა. მაკრონმა ევროპელებს მოუწოდა ახალი ტიპის პოლიტიკურ თანამეგობრობაზე ეფიქრათ, რომელშიც დღეს ევროპის კავშირის გარეთ დარჩენილი ევროპული და დემოკრატიული ქვეყნები თანამშრომლობის ახალ პლატფორმას იპოვიდნენ. ამ ქვეყნებს შორის პირველ რიგში უკრაინა იგულისხმებოდა, რომელსაც, მაკრონის აზრით, დღევანდელი პროცედურების გათვალისწინებით, ევროპულ კავშირში გაწევრიანებისთვის შესაძლოა ათწლეუ-

1 Strategic Vision of the Chief of Defense Staff, https://www.defense.gouv.fr/sites/default/files/ema/211022_EMACOM_Strategic_Vision_UK_Vdef_HQ%20%283%29.pdf

ლები დასჭირდეს. აღსანიშნავია, რომ ეს განცხადებები მაკრონმა არა მხოლოდ როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა, არამედ როგორც ევროპის კავშირის საბჭოს პრეზიდენტმა გააკეთა. რამ გამოიწვია მაკრონის პოზიციის ცვლილება ამ საკითხებზე, განსაკუთრებით კი გაფართოების საკითხზე? აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ ევროპის კავშირის საბჭოს პრეზიდენტის ფუნქციის შესრულების დაწყებისთანავე მაკრონი განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდა უკრაინაში მიმდინარე შემაშფოთებელი პროცესების მიმართ.

2021 წლის გაზაფხულის შემდეგ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურები, დიპლომატები და სამხედროები რუსეთის მხრიდან სამხედრო კამპანიის მზადების შესახებ განსაკუთრებული ინტენსივობით ალაპარაკდნენ. 2021 წლის ბოლოს და 2022 წლის დასაწყისში საჯარო განცხადებების ესტაფეტა პოლიტიკოსებმა და სახელმწიფოთა მეთაურებმა გადაიბარეს. დასავლეთის ქვეყნების იმ ათეულობით ლიდერს შორის, რომლებიც პუტინთან კომუნიკაციის გზით უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების აღკვეთას ან დროებით გადადებას მაინც შეეცადნენ, რუსეთის მმართველთან კომუნიკაციის სიხშირით ემანუელ მაკრონი გამოირჩეოდა. 2021 წლის დეკემბერის შემდეგ რეგულარულ სატელეფონო საუბრებს, რომლებმაც 2022 წლის თებერვალში თითქმის ყოველდღიური ხასიათი მიიღეს, დაემატა მაკრონის ვიზიტი მოსკოვში. პუტინთან შეხვედრა 6 საათს გაგრძელდა. სატელეფონო კომუნიკაცია გაგრძელდა 24 თებერვალს ომის დაწყების შემდეგაც. მთლიანობაში მაკრონი პუტინს 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მარტის დასაწყისამდე 18-ჯერ ესაუბრა. ბუჩაში და სხვა უკრაინულ ქალაქებში რუსი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულების აღმოჩენის შემდეგ პარიზსა და მოსკოვს შორის პირდაპირი კომუნიკაცია აღარ ყოფილა.

საფრანგეთისთვის და ზოგადად, ევროპის ქვეყნებისთვის, უჩვეულოდ ხისტი რიტორიკით გამოირჩეოდნენ ფრანგი მინისტრები და სახელმწიფო მოხელეები. „ჩვენ რუსეთის ეკონომიკას გავანადგურებთ““, განაცხადა სატელევიზიო ინტერვიუში საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრმა, ბრუნო ლე მერმა, უკრაინაში ომის დაწყებიდან 4 დღის შემდეგ, 28 თებერვალს მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში.[2]

საერთაშორისო მიმომხილველთა დიდი ნაწილი პარიზის ასეთი უჩვეულო აქტიურობით გამოწვეულ გაკვირვებას ვერ მალავდა: საფრანგეთი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მინიმალურად იყო დამოკიდებული რუსეთზე ეკონომიკურად ან ენერგეტიკულად, არ გააჩნდა განსაკუთრებული კავშირი პუტინის თავდასხმის ობიექტ უკრაინასთან, ხოლო გეოგრაფიულად ევროპულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დაშორებული იყო საომარი მოქმედებების არეალიდან.

მეორე მხრივ, საფრანგეთის შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკაზე დაკვირვებული აუდიტორიისთვის მაკრონის „ჰიპერ-აქტიურობაში“ განსაკუთრებული არაფერი იყო. საფრანგეთის, როგორც სახელმწიფოს, და თავად მაკრონის უკრაინაში და მის გარშემო მიმდინარე პროცესებში ასეთ ჩართულობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1. სტრატეგიული – საფრანგეთის მიერ საკუთარი როლის ხედვა ევროპის კონტინენტზე და ევროკავშირში ბრექსიტის შემდეგ;
2. ფორმალური – ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტობა;
3. პოლიტიკური – საპრეზიდენტო არჩევნები (რომლის ორივე ტური უკრაინაში პუტინის მიერ გაჩაღებულ ომის ფონზე ჩატარდა).

2 Nous allons provoquer l’effondrement de l’économie russe. BFMTV. 01.03.2022 https://www.bfmtv.com/economie/economie-social/bruno-le-maire-nous-allons-provoquer-l-effondrement-de-l-economie-russe_AN-202203010131.html

საფრანგეთი ევროპაში და ევროკავშირში – სტრატეგიული ლიდერობისკენ

ბრექსიტის შემდეგ საფრანგეთი ევროპის კავშირში ბირთვული იარაღის მფლობელი ერთადერთი ქვეყანაა. კონტინენტის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ყველაზე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა კონტინენტზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში და ევროპის კავშირის ყველაზე ბრძოლისუნარიან სამხედრო ძალად განიხილებიან. პარიზი არასდროს ერიდებოდა ამ არგუმენტების მისი უსაფრთხოების სტრატეგიის სასარგებლოდ გამოყენებას.

უკრაინაში 24 თებერვალს დაწყებულ ომამდე საფრანგეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში ღიად სახელდებოდა ამ ქვეყნის ევროპული ამბიცია: ეს კონტინენტის სტრატეგიული ლიდერობაა. ამ ამბიციის მკვებავი დღევანდელი ფაქტორების გარდა, ამ მიდგომას გააჩნია ისტორიული საფუძვლებიც, რომელთა დიდი ნაწილი ევროპის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკური მოწყობის პერიოდში ჩამოყალიბდა. შარლ დე გოლის ევროპული პოლიტიკა ორ ძირითადი ამოცანის შესრულებას ისახავდა მიზნად: ევროპის შეერთებული შტატების გავლენისგან დისტანცირებას და ევროპის კავშირისგან საფრანგეთის გლობალური ინტერესების გატარების პლატფორმის ჩამოყალიბებას. როცა ფრანგი ოფიციალური პირები დღეს ევროპის სტრატეგიულ ავტონომიაზე და „კლინიკური სიკვდილის“ მდგომარეობაში მყოფ ნატო-ზე საუბრობენ[3] ბევრი ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველი ამ რიტორიკაში დე გოლის იმ მიდგომის გაგრძელებას ხედავს, რომელიც „მეხუთე რესპუბლიკის“ საგარეო პოლიტიკის ღერძად იქცა.

უსაფრთხოების პოლიტიკაში საფრანგეთი მის სტრატეგიას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში (ნატო, ევროკავშირი) ახორციელებს. დიდი ხნის განმავლობაში საფრანგეთისთვის პრიორიტეტული უსაფრთხოების პოლიტიკის ორმხრივი ფორმატი იყო, რაც მკვეთრად გამოხატული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი ხასიათის და ბირთვული იარაღით გამაგრებული უსაფრთხოების საკუთარი ხედვის შენარჩუნების გზად განიხილებოდა.

დღევანდელ საფრანგეთში ევროპის ინტერესები საფრანგეთის ინტერესებად განიხილება. ნამდვილად არ იქნება მართებული იმის თქმა, რომ საფრანგეთმა უარი თქვა გლობალურ ამბიციებზე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარიზმა შეცვალა მიდგომა ევროპის მიმართ: თუ ადრე საფრანგეთი ერთიანი ევროპის პროექტს გლობალური გავლენის ზრდის ინსტრუმენტად განიხილავდა, ახლა მიზანი ევროპის პოლიტიკური პროექტის „საფრანგეთის ინტერესების“ თანახმად განვითარებაა. შესაბამისად, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების დიდი ნაწილი ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ რეალიებს ეხება.

ეს ცვლილება მკაფიოდ არის ასახული ემანუელ მაკრონის ევროპულ ხედვაში. გამძაფრებული გეოპოლიტიკური მეტოქეობის პირობებში, საფრანგეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ევროპელებს საკუთარი თავის დაცვა, ნებისმიერი სხვა გარე მოთამაშის ჩარევის თუ დახმარების გარეშე უნდა შეეძლოთ. ძნელია არ აღინიშნოს, ის კონცეპტუალური წინააღმდეგობა, რომელიც ამ მიდგომას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფუნდამენტურ პრინციპებთან აქვს. ამ წინააღმდეგობას ხედავენ პარიზშიც. პრეზიდენტ მაკრონის მიერ ინიცირებული „სტრატეგიული ავტონო-

3 Emmanuel Macron warns Europe: NATO is becoming brain-dead. The Economist. 07.11.2019. https://www.economist.com/europe/2019/11/07/emmanuel-macron-warns-europe-nato-is-becoming-brain-dead

მიის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი „ევროპული არმიის“ ჩამოყალიბების ინიციატივა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთი-ერთი დამფუძნებელია, შარლ დე გოლი ნატო-ს სარდლობის დატოვების გადაწყვეტილებას არ მოერიდა. ეს ნაბიჯი საფრანგეთმა 1966 წელს გადადგა. ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულებამდე, ფრანგი პოლიტიკოსები, გერმანელების მსგავსად, თავდაცვის პოლიტიკის ევროპის კავშირის კომპეტენციაში შესვლის მომხრენი იყვნენ ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულებამდე. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროპის კავშირის ქვეყნების უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკა საერთო ევროპულ ჩარჩოში მოექცა. ამ მიზნისკენ საფრანგეთი 1980-იანი წლების დასაწყისიდან მიისწრაფვოდა. 2009 წელს, ნატო-ს და ევროპის კავშირის თავდაცვის პოლიტიკას შორის წინააღმდეგობის არარსებობის დასამტკიცებლად საფრანგეთი ნატო-ს სარდლობას შეუერთდა.

24 თებერვლის შემდეგ გამოჩნდა, რომ გერმანიის არა მარტო ლიდერობაზე, არამედ თავდაცვის და უსაფრთხოების კუთხით პარტნიორობაზე გათვლა, როგორც მინიმუმ, ნაადრევი იყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხნით გამყარდა შეხედულება, რომლის თანახმად ნატო-ს აღმოსავლეთის ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორი შეერთებული შტატების ჩართულობა და ლიდერობაა. ეს ტენდენცია ართულებს ემანუელ მაკრონის ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო კონცეფციის, სტრატეგიული ავტონომიის პერსპექტივებს. მაკრონის ხედვაში სტრატეგიული ავტონომია ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეერთებული შტატების როლის შემცირებას და ევროპელების მიერ მეტად ავტონომიური თავდაცვის პოლიტიკის წარმოებას გულისხმობს.

საფრანგეთის „სტრატეგიული ავტონომიის“ პოლიტიკა პრაქტიკულად განუსაზღვრელი დროით გადაიდო, თუ არ გაუქმდა. შეერთებული შტატების მიერ უკრაინისთვის უპრეცედენტო, „ახალ ლენდ-ლიზად“ წოდებული დახმარების დაწყების ფონზე საფრანგეთს სხვა არჩევანი არ დარჩა გარდა იმისა, რომ ამ პროგრამის მხარდამჭერთა რიგებს შეუერთდეს. მრავალმილიარდიანი დახმარების აღმოსაჩენად და მოკავშირეებთან საკოორდინაციოდ შეერთებული შტატების ევროპის სარდლობამ შტუტგარტში ახალი ლოგისტიკური ცენტრი შექმნა. რა თქმა უნდა, საფრანგეთს არ გააჩნია არც რესურსი და არც პოლიტიკური მზაობა ალტერნატიული ან თუნდაც პარალელური ცენტრის ჩამოყალიბებისთვის. ცენტრის გერმანიის ტერიტორიაზე შექმნა პრაქტიკულად ახალი სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ტოლფასია, რაც ამყარებს შეერთებული შტატების, როგორც გერმანიის უსაფრთხოების გარანტორის პოზიციას. საფრანგეთი წლების განმავლობაში ცდილობდა, გერმანიის პოლიტიკური წრეები დაერწმუნებინა ევროპის „სტრატეგიული ავტონომიის“ იდეის მიმზიდველობაში და ევროპული უსაფრთხოებიდან შეერთებული შტატების ეტაპობრივი ჩამოცილების გარდაუვლობაში.

გარდა ამისა, უკრაინის სამხედრო აგრესიის შემდეგ ნატო-ში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს და აპლიკაციის მზადება დაიწყეს ათწლეულების განმავლობაში ნეიტრალურმა შვედეთმა და წარსულში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსისადმი მიზეზთა გამო „გულგრილად“ განწყობილმა ფინეთმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გადაწყვეტილებამ მოსკოვის მხრიდან მუქარა და ფინეთის საზღვრებთან სამხედრო მანევრები მოჰყვა. გავრცელდა ხმები, რომ დაძაბული ვითარების განსამუხტად და პროცესის დამუხრუჭების თავიდან ასაცილებლად, ვაშინგტონმა ახალ კანდიდატ ქვეყნებს აპლიკაციის ოფიციალურად წარდგენის შემთხვევაში (მათზე ნატო-ს წესდების მეხუთე მუხლის ამოქმედებამდე) უსაფრთხოების გარა-

ნტიები მისცა. 5 მაისს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანა ლინდემ, დაადასტურა, რომ ასეთი გარანტიები შვედეთს შეერთებული შტატებისგან მართლაც მიღებული ჰქონდა.[4] ეს საბოლოოდ გამორიცხავს მაკრონისთვის ძვირფასი „სტრატეგიული ავტონომიის“ პერსპექტივებს. ევროკავშირის ორი ქვეყნის მიერ შეერთებული შტატებისგან პირდაპირი უსაფრთხოების გარანტიების მიღების მოთხოვნა და მათი თხოვნის დაკმაყოფილება, პირდაპირ მიანიშნებს თუ რომელი ქვეყანა ფლობს ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების გარანტორის ნამდვილ სტატუსს. პარიზისთვის კიდევ უფრო მძიმე დარტყმა იყო ფინეთში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის, ბენ უოლესის ჩასვლა და ლონდონის სახელით ანალოგიური უსაფრთხოების გარანტიების ფინეთისთვის მიცემა.[5] „ბრექსტის“ შემდეგ დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის კავშირის ქვეყნის უსაფრთხოების გარანტორად წარმოჩენა მთლიანად შლის იმ სტრატეგიულ მონახაზს, რომლით მოქმედებასაც საფრანგეთი დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის კავშირიდან გასვლის შემდეგ აპირებდა.

ევროპული კავშირის საბჭოს პრეზიდენტობა – DÉJA VU

ზუსტად არავინ იცის, მეორდება თუ არა ისტორია, თუმცა საფრანგეთის შემთხვევაში ფაქტი სახეზეა: ევროკავშირის პრეზიდენტობის ორივე შემთხვევაში, 2008 და 2022 წლებში, საფრანგეთს ევროკავშირის საზღვრებთან მომხდარ 21-ე საუკუნის ყველაზე მწვავე კრიზისებთან გამკლავება მოუწია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო აგრესიის შესაჩერებლად საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მოსკოვსა და თბილისს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას ათანხმებდა. დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებები შეაჩერა, თუმცა რუსეთი დღემდე არ ასრულებს მის ერთ-ერთ პირობას, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ნაწილების გაყვანას 2008 წლის 7 აგვისტომდე პოზიციებზე.

სამწუხაროდ, მის მიერ ევროკავშირის პრეზიდენტის რანგში შესრულებული შუამავლის როლის მიუხედავად, ნიკოლა სარკოზიმ არ მიაქცია ყურადღება პუტინის რეჟიმის მიერ მისი ძალისხმევით შეთანხმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობას და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხის და პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ მოსკოვში პუტინს სამჯერ ეწვია. 2015 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ მოსკოვში ჩასულმა სარკოზიმ საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთის იზოლაციის დასრულებისკენ და 2014 წელს უკრაინაზე თავდასხმისთვის დაკისრებული სანქციების მოხსნისკენ მოუწოდა.[6] აღსანიშნავია, რომ პუტინის თანდასწრებით გაკეთებული ეს საჯარო განცხადება ეწინააღმდეგებოდა მისი მემკვიდრის, პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პოლიტი-

4 Sweden says it received U.S. security assurances if it hands in NATO application. Reuters. 05.05.2022 https://www.reuters.com/world/europe/sweden-says-it-received-us-security-assurances-if-it-hands-nato-application-2022-05-04/

5 Ben Wallace says it is ‘inconceivable’ UK would not support Finland or Sweden if either were attacked. The Evening Standard. 04.05.2022. https://www.standard.co.uk/news/uk/ben-wallace-finland-nato-membership-ukraine-war-russia-sweden-b997937.html

6 Nicolas Sarkozy à Moscou : "Le monde a besoin de la Russie", France 24. 29.10.2015 https://www.france24.com/fr/20151029-sarkozy-poutine-rencontre-moscou-syrie-ukraine-diplomatie-critiques-france

კას რუსეთის მიმართ, რის გამოც მძაფრი რეაქციები მოჰყვა პარიზში. საბოლოო ჯამში, პუტინთან ურთიერთობის გაღრმავების მცდელობებმა გაამართლა და 2019 წელს ნიკოლა სარკოზი რუსულმა სადაზღვევო კომპანია „რესო გარანტიამ“ „სპეციალური მრჩევლის“ მაღალანაზღაურებად პოზიციაზე დაიქირავა.[7] ამ ფუნქციის შესრულებისთვის საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს რამდენიმე წლის განმავლობაში 3 მილიონი ევრო უნდა მიეღო. თანხის პირველი ნაწილის ჩარიცხვისთანავე საფრანგეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა დაიწყო გამოძიება შესაძლო დანაშაულის (კორუფცია, გავლენით ვაჭრობა) ნიშნების გამოსავლენად.

საფრანგეთმა ევროპის კავშირის პრეზიდენტობის ექვსთვიანი მანდატი 2022 წლის 1 იანვარს ჩაიბარა. ევროპის კავშირის პარლამენტში ამასთან დაკავშირებული გამოსვლისას მაკრონმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირს კოლექტიური უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულება სჭირდებოდა, რომელიც მას რუსეთთან და ნატო-სთან ურთიერთობას შესაბამის ფორმებს მისცემდა.

საპრეზიდენტო არჩევნები და პოლიტიკური ვითარება უკრაინის ომის ფონზე

2022 წლის 24 აპრილს საფრანგეთმა და ევროპამ შვებით ამოისუნთქა: ემანუელ მაკრონმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა მისი გამარჯვების სიხარულის უდავოდ დიდი ნაწილი არა თავად მაკრონის, როგორც პოლიტიკოსის წარმატებით იყო გამოწვეული, არამედ მისი მეტოქის, მარინ ლე პენის დამარცხებით. ემანუელ მაკრონის 58,54% ცალსახად გამარჯვებაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის საგანგაშოდ მაღალი შედეგი, რომელიც მისმა მეტოქემ აჩვენა – 41,46% – ევროპის უახლეს ისტორიაში ულტრა-მემარჯვენე ძალების მიერ მიღწეული ყველაზე შთამბეჭდავი შედეგია. ეს ფაქტი პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების კვლევის საგანი გახდება, თუმცა დღეს დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ საფრანგეთის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელი სერიოზულ კრიზისს განიცდის.

ამ გამარჯვების მყიფე ხასიათი თავად ემანუელ მაკრონმაც აღნიშნა. გამარჯვებულის ტრადიციულ მიმართვაში მან განაცხადა, რომ მის მიერ მიღებული ხმების ნაწილი მარინ ლე პენის წინააღმდეგ და არა მის სასარგებლოდ მიცემული ხმა იყო. ჯერ უცნობია რა დასკვნებს გამოიტანს მაკრონი და რა ზომებს გაატარებს მისი მორიგი საპრეზიდენტო ვადის 5 წლის განმავლობაში, თუმცა უდავოა, რომ მნიშვნელოვანი რეფორმებისა და ცვლილებების გარეშე საფრანგეთის ლიბერალური დემოკრატიის მოდელი საფრთხეშია, როგორც არასდროს.

მარინ ლე პენის პოპულისტური და დისკრიმინაციული პროგრამის გარდა ევროპელთა განსაკუთრებულ შეშფოთებას ის მიდგომა იწვევს, რომელიც მას და მის პარტია „ნაციონალურ ერთობას“ რუსეთის, კერძოდ კი პუტინის რეჟიმის მიმართ აქვს. მარინ ლე პენი ერთ-ერთი პირველი ევროპელი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც არათუ დაგმო რუსეთის მიერ ყირიმის აგრესია, არამედ საფრანგეთისა და ევროპის ლიდერებს რუსეთის პოზიციის გააზრებისა და გაზიარებისკენ მოუწოდა. მისი პარტიის წარმომადგენლები რეგულარულად სტუმრობენ როგორც მოსკოვში გამართულ პროპაგანდისტულ კონფერენციებსა და სემინარებს, ისე უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამართულ არჩევნებს, სადაც საერთაშორისო დამკვირვებელთა ფუნქციასაც ასრულებენ.

7 Les millions russes de Nicolas Sarkozy. Mediapart. 15.01.2021 https://transparency-france.org/wp-content/uploads/2021/01/mediapart-Les-millions-russes-de-Nicolas-Sarkozy.pdf

დღეს თვალს ვადევნებთ, თუ როგორ იცვლება გამარჯვებული ემანუელ მაკრონის მიდგომა უკრაინის მიმართ. როგორც ჩანს, მართლდება იმ მიმომხილველთა ვარაუდი, რომლის თანახმად საარჩევნო კამპანიის მარწუხებისგან გათავისუფლებული პრეზიდენტი ახლა უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმას შეძლებს. უკრაინისთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა საფრანგეთის პრეზიდენტს ახლა შესაძლოა მართლაც მეტი ჰქონდეს, თუმცა, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკურ ნებას ექნება. მეორე ტურამდე რამდენიმე დღის ადრე, მაკრონმა უკვე მიანიშნა, რომ პარიზი უკრაინისთვის დამატებითი სამხედრო დახმარების გაწევისთვის ემზადებოდა. დახმარების ახალ ეტაპზე საფრანგეთი უკრაინისთვის მძიმე ტექნიკის მიწოდებას გეგმავს. უკრაინის მიმართ და ზოგადად, საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების მეტი თავისუფლება მაკრონს იმ შემთხვევაში ექნება, თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, რომლებიც 2022 წლის ივნისში გაიმართება, მისი პარტია საპარლამენტო უმრავლესობას შეინარჩუნებს. უმრავლესობის დაკარგვის შემთხვევაში ის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე თანაპარტიელს ვერ დანიშნავს და ამ პოსტს ოპოზიციური პარტიის კანდიდატი დაიკავებს. დღეს ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე და მესამე ადგილებზე გასული მარინ ლე პენის („ნაციონალური გაერთიანება“) და ჟან-ლუკ მელანშონის (დაუმორჩილებელი საფრანგეთი“) პარტიებს აქვთ. რომელიმე მათგანის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება ამ კანდიდატებიდან ერთ-ერთის მიერ პრემიერ-მინისტრის სავარძლის დაკავების ტოლფასი იქნება.

აღმასრულებელი ხელისუფლების ასეთი კონფიგურაცია საფრანგეთის პოლიტიკური ისტორიისთვის სიახლე არ იქნება. ასეთ „კოაბიტაციას“ ადგილი უკვე სამჯერ, 1986-1988, 1993-1995 და 1997-2002 წლებში ჰქონდა. 1986-1988 წლებში სოციალისტი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის პრემიერ-მინისტრი გოლისტი მემარჯვენეების ლიდერი ჟაკ შირაკი იყო, თავად ჟაკ შირაკის პრეზიდენტობისას მის მთავრობას ოთხი წლის განმავლობაში სოციალისტი პრემიერ-მინისტრი, ლიონელ ჟოსპენი ხელმძღვანელობდა. ასეთ „კოაბიტაციაში“ საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის კონსენსუსი განსაზღვრავს. ასეთ წლებში, როგორც წესი, არ შეინიშნება რადიკალური გადაწყვეტილებები და რეფორმები და პოლიტიკური ვითარება მეტ-ნაკლებად სტაბილურ ხასიათს იღებს.

საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესში ემანუელ მაკრონის პარტია La République en marche-მა სახელი შეიცვალა. პარტიის ხელახალ „დაფუძნებად“ მონათლული ჟესტის შემდეგ მას „რენესანსი“ ეწოდა.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მნიშვნელობას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოწმობს ის სტრატეგიაც, რომლითაც პარტიები საარჩევნო კამპანიის დაწყებას აპირებენ. ჟან-ლუკ მელანშონის საარჩევნო პოსტერზე პირდაპირ არის მითითებული „დაუმორჩილებელი საფრანგეთის“ მიზანი ამ არჩევნებში: „მელანშონი – პრემიერ-მინისტრი“. ფოტო ©bfmtv

შესაძლო პრემიერ-მინისტრების პირადი და პარტიული თავისებურებებიდან გამომდინარე 2022 წლის შესაძლო „კოაბიტაცია“ ცალსახად უარყოფით შედეგს მოუტანს უკრაინას. უკრაინის ან რუსეთის აგრესიის ობიექტად ქცეული სხვა ქვეყნების მიმართ საფრანგეთის პოზიცია მოსკოვის სასარგებლოდ შეიცვლება. პრეზიდენტ მაკრონს ძალიან გაუჭირდება რუსეთთან კონფრონტაციაში ჩართული ქვეყნებისთვის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენა. მელანშონიც და ლე პენიც რუსეთის მიმართ მაკრონისგან განსხვავებულ პოზიციაზე არიან. რუსული ჯარის მიერ უკრაინაში მასობრივად ჩადენილი დანაშაულებების კვალის აღმოჩენამდე არცერთი მათგანი არ ერიდებოდა მოსკოვთან დაახლოების აუცილებლობაზე საჯარო საუბარსა და მოწოდებებს. თუ მელანშონის შემთხვევაში, მოსკოვი „ანტი-კაპიტალისტური“ წინააღმდეგობის და „ანტი-იმპერიალისტური“ ბრძოლის მოკავშირედ განიხილება (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის გათვალისწინებით ასეთი დაშვება კომიკურად გამოიყურება), ლე პენის კრემლთან მეგობრობის მიზეზებს სხვა, უფრო მერკანტილური საფუძვლები აქვს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, პირველად „მეხუთე რესპუბლიკის“ ისტორიაში მემარცხენე პარტიები ანტი-ევროპული და ანტი-ამერიკული ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ. საფრანგეთის „სოციალისტური პარტია“, „კომუნისტური პარტია“ და „მწვანეები“ ჟან-ლუკ მელანშონის „დაუმორჩილებელ საფრანგეთთან“ საარჩევნო ბლოკის შექმნაზე შეთანხმდნენ და ერთად აპირებენ საპარლამენტო არჩევნებზე გასვლას. მემარცხენეთა ბლოკის ამ კონფიგურაციით, საფრანგეთის ნაციონალურ ასამბლეაში შეიქმნება ძალა, რომელიც მნიშვნელოვნად დაამუხრუჭებს, როგორც საფრანგეთის ტრანსატლანტიკურ პოლიტიკას, ისე შეამცირებს უკრაინის დახმა-

რების მოცულობას. მართალია ამ ბლოკის ნაწილი, მაგალითად „მწვანეები“, არ ერიდებიან რუსეთის კრიტიკას და პუტინის მიმართ ხისტი რიტორიკით გამოირჩევიან, ამ გაერთიანების მთავარი ძალა, „დაუმორჩილებელი საფრანგეთი“, ძალიან ძლიერი ანტი-ამერიკანიზმითა და ნატო-ს საწინააღმდეგო პოლიტიკური ინიციატივებითაა ცნობილი. მართალია 24 თებერვლიდან უკრაინაში დატრიალებული მოვლენების შემდეგ თავად მელანშონსაც მოუწია რუსეთის მიმართ კრიტიკული განცხადებების გაკეთება, მისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო შემრიგებლური იქნება, ვიდრე მაკრონის მთავრობის.

მარინ ლე პენი იმ ევროპელ პოლიტიკოსთა მაგალითს წარმოადგენს, რომლებიც მათ ქვეყნებში და ევროპულ პოლიტიკაში პუტინის რეჟიმის ინტერესთა გამტარებლებად იქცნენ.

ლე პენების პოლიტიკური დინასტიის მოსკოვთან „მეგობრობა“ მრავალ წელს ითვლის. „ნაციონალური ფრონტის“ დამფუძნებელი და პარტიის უცვლელი ლიდერი ჟან-მარი ლე პენი მოსკოვს ჯერ კიდევ 1996 წელს სტუმრობდა. არ ერიდებოდა ისეთ ოდიოზურ რუს პოლიტიკოსებთან ურთიერთობას როგორც ვლადიმირ ჟირინოვსკი იყო.

2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ის მოსკოვს ეწვია და პუტინთან გამართული შეხვედრის ფოტოებით იწონებდა თავს მხარდამჭერების წინაშე. ასეთ „პერსპექტიულ“ ფრანგ პოლიტიკოსს კრემლმა ყურადღება დიდი ხნით ადრე მიაქცია. ჩეხეთში სახელდახელოდ დაარსებულმა „ჩეხურ-რუსულმა პირველმა ბანკმა“ 2014 წელს მარინ ლე პენს ორი სესხი გამოუყო: პირველი სესხი 9 მილიონი ევროს ოდენობის იყო და ოფიციალურად მისი დანიშნულება პარტიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა მოხმარებოდა. მეორე სესხი 2 მილიონი ევრო იყო და მარინ ლე პენის მამის, ჟან-მარი ლე პენის მიკრო პარტიის დაფინანსებისთვის იყო განკუთვნილი. სესხის პირობები ორივე შემთხვევაში საეჭვოდ ხელსაყრელი იყო მსესხებლისთვის. აღსანიშნავია, რომ ლე პენის კრედიტორი ბანკი 2016 წელს დაიხურა და ლე პენებისთვის ნასესხები თანხის დაბრუნებაზე ზრუნვა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა კონტრაქტორმა, „როსავიაზაპჩასტმა“ გადაიბარა. საპრეზიდენტო დებატებისას მარინ ლე პენმა კრემლისთვის სესხის დაბრუნების პირობა დადო, თუმცა დაზუსტებით არავინ იცის, როგორ და როდის ან საერთოდ აპირებს თუ არა „ნაციონალური ფრონტი“ პუტინისგან მიღებული სუბსიდიის დაბრუნებას. ეს რა თქმა უნდა, მძიმე დაღს დაასვამს ამ პარტიის უკვე შელახულ რეპუტაციას.

უკრაინისთვის გაწეული დახმარება

24 თებერვლის სამხედრო ინტერვენციის დაწყებიდან რამდენიმე დღეში საფრანგეთმა 100 მილიონი ევრო გამოუყო ჰუმანიტარულ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უკრაინაში მშვიდობიან მოსახლეობაზე ზრუნავდნენ.[8] საფრანგეთიდან უკრაინაში გაგზავნილმა ჰუმანიტარული ტვირთების წონამ 800 ტონას მიაღწია. მთლიანობაში, 2022 წლის თებერვლის შემდეგ საფრანგეთის მიერ უკრაინისთვის გაწეული სხვადასხვა დახმარების ღირებულებამ ერთი მილიარდ 700 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. 5 მაისს ვარშავაში გამართულ უკრაინის დონორე-

8 La France se mobilise et achemine une aide médicale d’urgence en faveur des populations victimes du conflit. 01.03.2022 https://www.diplomatie.gouv.fr/fr/dossiers-pays/ukraine/evenements/article/ukraine-la-france-se-mobilise-et-achemine-une-aide-medicale-d-urgence-en-faveur

ბის კონფერენციაზე ემანუელ მაკრონმა უკრაინის დასახმარებლად დამატებითი 300 მილიონი ევროს გამოყოფა გამოაცხადა. ამ თანხის ჩათვლით საფრანგეთის მიერ უკრაინისთვის 24 თებერვლის შემდგომ გაწეული დახმარების (სამხედრო კომპონენტების გარდა) ოდენობამ 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულებას მიაღწია.[9] ჰუმანიტარული დახმარების გარდა პარიზმა უკრაინასთან სავაჭრო ურთიერთობისთვის შენარჩუნებისთვის საჭირო ფინანსური გარანტიებიც გასცა.

უკრაინიდან დევნილ 40 მკვლევარს გამოეყო მათი საქმიანობის საფრანგეთში გასაგრძელებლად აუცილებელი ფინანსური და აკადემიური დახმარება.[10] ანალოგიური დახმარების პაკეტი შეიქმნა უკრაინელი ჟურნალისტებისთვისაც, რომლებმაც ომის გამო დაკარგეს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობა საკუთარ ქვეყანაში.[11]

გაეროს ინფორმაციით, 2022 წლის თებერვლის ბოლოდან სამშობლოს დატოვება 5.4 მილიონ უკრაინელს მოუწია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პოლონეთმა, რუმინეთმა, მოლდოვამ და სხვა მეზობელმა ქვეყნებმა მიიღეს. საომარი მოქმედებების დაწყებიდან გასული ორი თვის განმავლობაში, საფრანგეთში მათი მხოლოდ მცირე ნაწილი, 70000 უკრაინელი თავშესაფრის მაძიებელი ჩავიდა, მათგან 80% ქალები და ბავშვები არიან.[12] აღსანიშნავია, რომ პირველად 2001 წლის (იუგოსლავიის ომის) შემდეგ, ევროპის კავშირის მიერ ამოქმედებულია „დროებითი თავშესაფრის“ მექანიზმი, რომელიც უკრაინელ დევნილებს ლეგალურ სტატუსს თავშესაფრის მოთხოვნის და ხანგრძლივი პროცედურების გავლის გარეშე აძლევს. შესაბამისად, მათ სრულფასოვანი უფასო სამედიცინო დახმარების მიღების და კანონიერად დასაქმების საშუალება ევროპის კავშირის ტერიტორიაზე პრაქტიკულად ავტომატურად (საფრანგეთის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ) ეძლევათ. ამ სტატუსით სარგებლობა უკრაინელებს სამი წლის განმავლობაში შეეძლებათ, რომელთა შემდეგ მათი საბოლოო სტატუსი დადგინდება. უკრაინელი დევნილების განსახლებისთვის საფრანგეთის მთავრობა ამჟამად 100000 საცხოვრებლის გამონახვაზე მუშაობს. სხვა დახმარებების გარდა, ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ უკრაინელებს თვეში 200 ევროს ფულადი დახმარება ეძლევათ.

სამხედრო დახმარება

ომის პირველი თვის განმავლობაში საფრანგეთის უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარება საკმაოდ მინიმალისტურად გამოიყურებოდა. აშკარაა იყო, რომ ოფიციალური პირები თავს არიდებდნენ ამ საკითხზე საუბარს, ფრანგულ და საერთაშორისო პრესასთან საუბრისას ბუნდოვანი ფორმულირებებით შემოიფარგლებოდნენ. მიუხედავად ამისა, არაოფიციალური წყაროებზე დაყრდნობით, ვრცე-

9 Message du Président Emmanuel Macron à l'occasion de la Conférence internationale des donateurs pour l'Ukraine. 05.05.2022. https://www.elysee.fr/emmanuel-macron/2022/05/05/conference-des-donateurs-ukraine

10 Le ministère de l’Europe et des Affaires étrangères accorde une contribution exceptionnelle pour les scientifiques en exil. 15.04.2022 https://www.diplomatie.gouv.fr/fr/dossiers-pays/ukraine/evenements/article/ukraine-le-ministere-de-l-europe-et-des-affaires-etrangeres-accorde-une

11 Communiqué de presse – Soutien aux médias et aux journalistes dans le contexte de la guerre en Ukraine. 05.05.2022. https://www.diplomatie.gouv.fr/fr/dossiers-pays/ukraine/evenements/article/communique-de-presse-soutien-aux-medias-et-aux-journalistes-dans-le-contexte-de

12 Plus de 70 000 réfugiés ukrainiens ont été accueillis en France. Liberation. 29.04.2022. https://www.liberation.fr/societe/plus-de-70-000-refugies-ukrainiens-ont-ete-accueillis-en-france-20220429_Z6KNLHDCDBAFFCHJ6BB5QAHYYM/

ლდებოდა ინფორმაცია ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებაზე, ღამის ხედვის ხელსაწყოებზე და სხვა სამხედრო აღჭურვილობაზე, რომელიც უკრაინას საფრანგეთიდან მიეწოდებოდა. ამ მხრივ ვითარება შეიცვალა 22 აპრილს გამოქვეყნებული ემანუელ მაკრონის ინტერვიუს შემდეგ, რომელშიც მან უკრაინისთვის გადაცემულ სხვადასხვა შეიარაღებასთან ერთად ახსენა საარტილერიო სისტემები „ცეზარის“ დაუზუსტებელი რაოდენობა.[13] გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია 40 უკრაინელი სამხედროს შესახებ, რომელიც უკვე საფრანგეთში იმყოფებოდა ამ თანამედროვე სისტემების ათვისების მიზნით.[14] ამ განცხადების შემდეგ საფრანგეთი იმ რამდენიმე ქვეყნას შორის აღმოჩნდა, რომლებიც უკრაინას მძიმე არტილერიას აწვდის. ეს თვისობრივად ცვლის პარიზის მიდგომას და მიანიშნებს უკრაინის სამხედრო დახმარების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ევოლუციას.



უკრაინისთვის ხელმისაწვდომი საარტილერიო სისტემის შესაძლებლობები. ©Ukraine Business Magazine

გარდა ამისა, რუსული ძალების მიერ კიევის შემოგარენში და უკრაინის სხვადასხვა ქალაქში გამოვლენილი დანაშაულების მასშტაბის შემდეგ, პარიზმა უკრაინაში მიავლინა კრიმინალისტებისა და ტექნიკური ექსპერტების ჯგუფი, რომელიც უკრაინის პროკურატურასთან ერთად დაუყოვნებლივ ჩაერთო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოვლენასა და გამოძიებაში.[15]

შეერთებული შტატებისგან და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით საფრანგეთი იმ ქვეყნებს შორის იყო, რომლებიც აცხადებდნენ, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყება ნაკლებად მოსალოდნელი იყო და მოსკოვის სამხედრო მზადება კიევზე და დასავლეთზე ზეწოლის მიზნით ხდებოდა. საფრანგეთის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე დაშვებულ

13 Le risque d’escalade en Ukraine est très fort, 22.04.2022. Ouest-France https://www.ouest-france.fr/politique/emmanuel-macron/le-risque-d-escalade-en-ukraine-est-tres-fort-d79f638e-c1a5-11ec-8a48-02f9bba22954

14 40 artilleurs ukrainiens en France à partir de ce week-end pour être formés sur Caesar, 22.04.2022. Lignes de Defense Ouest France. http://lignesdedefense.blogs.ouest-france.fr/archive/2022/04/22/40-artilleurs-ukrainiens-en-france-a-parti-de-ce-week-end-po-23000.html

15 https://twitter.com/EdePoncins/status/1513429247393767425

ასეთ შეცდომას მოჰყვა საფრანგეთი სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის, გენერალ ერიკ ვიდოს გადაყენება.[16]

ევროპის კავშირის პარლამენტში გამოსვლისას კომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაინმა საზეიმო ვითარებაში განაცხადა, რომ ევროპის მიზანი უკრაინის გამარჯვება იყო.[17] მაკრონის პოლიტიკური მსოფლმხედველობაში ევროპის და ევროპულის პოლიტიკის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საფრანგეთის უკრაინისადმი მხარდაჭერა, დიდი ალბათობით, საგრძნობლად გაძლიერდება.

რუსეთზე და ბელორუსზე დაწესებული ეკონომიკური, ფინანსური და ტექნოლოგიური სანქციები და შეზღუდვები

რუსეთისა და ბელარუსის სანქცირების საკითხში საფრანგეთი ევროპის კავშირის დროშის ქვეშ მოქმედებს და თავს არიდებს მათთვის ორმხრივი ხასიათის მიცემას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთზე დაკისრებულ სანქციებზე საუბრისას მათ ევროპის კავშირის მიერ დაწესებულ სანქციებად მოიხსენიებს.[18] ქრონოლოგიურად საფრანგეთისა და ევროპის კავშირის მიერ დაწესებული სანქციები სათავეს 2014 წლის მარტში იღებს და ხუთ პაკეტად იყოფა. მათი მიზანი „კრემლისთვის სამხედრო კამპანიის დაფინანსების გაძნელება“ და რუსეთის წინააღმდეგ ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ზომების მიღებაა, რომლებიც ცხადყოფს თუ ვინ არის სამხედრო აგრესიაზე პასუხისმგებელი.[19] სანქციების დაწესების მიზეზებად ყირიმის უკანონო ანექსია (2014), დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება (2022) და უკრაინის წინააღმდეგ გაუმართლებელი და უმიზეზი სამხედრო აგრესიის (2022) განხორციელებაა დასახელებული.

სანქციები შემდეგ კატეგორიებადაა დაყოფილი:

1. ინდივიდუალური შეზღუდვები – მიზანი კრემლის პოლიტიკურად და ფინანსურად მხარდამჭერთა დასახელება და მათი შესაძლებლობების შეზღუდვაა. ამ კატეგორიაში 1083 ადამიანი და 80 კომპანიაა: მათ ეკრძალებათ ევროპის კავშირის ტერიტორიაზე შესვლა; ევროპის კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა მათი ფინანსური აქტივი გაყინულია. უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შელახვაში მონაწილეობის გამო ამ კატეგორიაში სანქცირებულთა შორის არიან თავად ვლადიმირ პუტინი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები, რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრები, უმაღლესი თანამდებობის პირები და მინისტრები (სერგეი ლავროვი, დიმიტრი მედვედევი, ნიკოლაი პატრუშევი, სერგეი ნარიშკინი...), პროპაგანდისტები, კრემლის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დანიშნული თანამდებობის პირები, ბიზნესმენები და ოლიგარქები

16 French military intelligence head steps down over Ukraine – reports. Reuters.31.03.2022 https://www.reuters.com/world/europe/french-military-intelligence-head-steps-down-over-ukraine-reports-2022-03-31/

17 Speech by President von der Leyen at the EP Plenary on the social and economic consequences for the EU of the Russian war in Ukraine – reinforcing the EU's capacity to act. 04.05.2022 https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/speech_22_2785

18 Sanctions adoptées contre la Russie et la Biélorussie. Le Ministère de l’Europe et des Affaires étrangères. https://www.diplomatie.gouv.fr/#sommaire_1

19 Sanctions de l'UE contre la Russie liées à la situation en Ukraine (depuis 2014) https://www.consilium.europa.eu/fr/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/

(რომან აბრამოვიჩი, ოლეგ დერიპასკა...);

2. ეკონომიკური სანქციები – ეს სანქციები რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს ეხება: **ფინანსური სექტორი** – რუსულ ბანკებისა და კომპანიებისთვის ევროპის კავშირის კაპიტალზე წვდომის შეზღუდვა; რუსეთისა და ბელორუსის ცენტრალურ ბანკებთან ფინანსური ტრანზაქციების აკრძალვა; რუსული და ბელორუსული ბანკების ნაწილის SWIFT-ის სისტემიდან მოკვეთა; ნაღდი ფულის სახით ევროს, როგორც ვალუტის, რუსეთისა და ბელორუსისთვის მიწოდების აკრძალვა; რუსეთში ნებისმიერ ფორმის ფინანსური ინვესტიციის აკრძალვა; რუსეთის სახელმწიფო ფონდების მიერ თანადაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა და/ან ინვესტირება. **ენერგეტიკული სექტორი** – რუსეთიდან ნახშირის იმპორტის აკრძალვა; ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების რუსეთში ექსპორტის აკრძალვა; რუსულ ენერგეტიკულ სექტორში ინვესტირების აკრძალვა; **სატრანსპორტო სექტორი** – რუსეთის საკუთრებაში და/ან რუსეთში რეგისტრირებული ყველა თვითმფრინავისთვის ევროპის კავშირის საჰაერო სივრცის დაკეტვა; ევროპის კავშირის პორტებში რუსული გემების შესვლის აკრძალვა; რუსული და ბელორუსული საგზაო გადამზიდავებისთვის ევროპის კავშირის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; რუსეთში საჰაერო, საზღვაო და კოსმოსური ტექნოლოგიების ექსპორტის აკრძალვა; **თავდაცვის სექტორი** – ორმაგი დანიშნულების პროდუქციის და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის გამოსადეგი ტექნოლოგიების რუსეთში ექსპორტის აკრძალვა; რუსეთთან იარაღით ვაჭრობის აკრძალვა; **სასარგებლო წიაღისეული და სხვა**: რუსეთიდან ევროკავშირში რკინის, ფოლადის, ხის, ცემენტის, ზღვის პროდუქტებისა და ალკოჰოლის ევროპის კავშირში იმპორტის აკრძალვა. ფუფუნების საგნების რუსეთში ექსპორტის აკრძალვა.

3. მედია შეზღუდვები: 2022 წლის 2 მარტიდან ევროპის კავშირის ტერიტორიაზე აიკრძალა პუტინის რეჟიმის პროპაგანდისტული მედია საშუალებების, „სპუტნიკისა“ და „რაშა თუდეის“ მაუწყებლობა.

4. დიპლომატიური შეზღუდვები – 2014 წელს გაუქმდა რუსეთისა და ევროკავშირის სამიტი. კავშირის წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს რუსეთთან ორმხრივი სამიტების განუსაზღვრელი დროით გაუქმება. შეწყდა ევროკავშირთან სავიზო მიმოსვლის გაუქმების განხილვა; რუსეთს დაატოვებინეს „დიდი რვიანის“ ჯგუფი, რომელიც „დიდი შვიდეულის“ ფორმატს დაუბრუნდა; შეწყდა რუსეთის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებები; 2022 წლის თებერვალში გაუქმდა რუსეთის მოქალაქეების ევროპის კავშირში შესვლისთვის საჭირო ვიზების გაცემის გამარტივებული პროცედურა;

უკრაინაზე სამხედრო იერიშის დაწყების შემდეგ დასავლეთის ქვეყნებმა (შეერთებული შტატები, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, იტალია და სხვ.) 200-მდე რუსი დიპლომატი გააძევა. ამ ქვეყნებს საფრანგეთიც შეუერთდა და 35 რუს დიპლომატს მოსთხოვა ქვეყნის ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება. აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გაძევებული დიპლომატები „საფრანგეთის ინტერესებისა და უსაფრთხოების საზიანოდ“ მოქმედებდნენ, რაც მათი

ჯაშუშობაში დადანაშაულების ტოლფასი იყო.[20]

35 დიპლომატს ერთი კვირის შემდეგ კიდევ ექვსი შეემატა. 2022 წლის 11 აპრილს საფრანგეთის კონტრდაზვერვის სამსახურმა გამოაცხადა, რომ რამდენიმე წლიანი გამოძიების წარმატებით დასრულების შემდეგ მათ შეძლეს რუსული სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციის ჩაშლა და მათი სტატუსისთვის შეუთავსებელ საქმიანობაში შემჩნეულ კიდევ ექვს რუს დიპლომატს მოუწევდა საფრანგეთის ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება.[21]

საფრანგეთის ტერიტორიაზე ყადაღა დაედო რუსი ოლიგარქების და კორუმპირებული ჩინოვნიკების უძრავი ქონების 64 ობიექტს, მათ შორის ფეშენებელურ ვილებსა და სასახლეებს, რომელთა ღირებულება მილიარდ ევროს უახლოვდება.[22] პოლიციამ ასობით მილიონი ევროს ღირებულების იახტების, ვერტმფრენების და ხელოვნების ნიმუშების კონფისკაცია მოახდინა (პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრის იგორ სეჩინის, ოლიგარქის მიხეილ ფრიდმანის და სხვ.). გაყინული ფინანსური აქტივების ოდენობამ კი 24 მილიარდ ევროს მიაღწია.[23] ამ მხრივ საფრანგეთი ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს.

ენერგეტიკა და ენერგოუსაფრთხოება

საფრანგეთი ბირთვული ენერგიის წილით მის ენერგომომარაგებაში მსოფლიოს ლიდერებს შორისაა და ატომური ელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის 70%-ს იღებს. ეს 1974 წლის ნავთობის პირველი კრიზისის შემდეგ მიღებული პრინციპული გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას ეხებოდა. 2014 წელს მთავრობამ ბირთვული ენერგიის წილის 50%-მდე შემცირება დაგეგმა, თუმცა ამ გადაწყვეტილების შესრულება ჯერ 2019 წელს 2035 წლამდე გადაიდო, ხოლო 2022 წლის თებერვალში კი ექვსი ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა გამოცხადდა. ასევე აღინიშნა, რომ გეგმაში კიდევ რვა ასეთი სადგურის მშენებლობა განიხილებოდა. ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობისა და დაბალი ფასის გამო საფრანგეთი ელექტროენერგიის ევროპის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია. 2019 წელს საფრანგეთმა რეკორდული 57 ტერავატ საათი მიაწოდა მეზობელ ქვეყნებს, 2021 წლის მხოლოდ მეორე ნახევარში კი 21 ტერავატ საათი და ევროპის ელექტროენერგიის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორის ადგილი შეინარჩუნა. 2021 წელს საფრანგეთიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობით ლიდერობენ იტალია (7.5 ტერავატ საათი) და დიდი ბრიტანეთი (6 ტერავატ საათი).

20 Guerre en Ukraine. La France s'apprête à expulser 35 diplomates russes. Ouest France. 04.04.2022 https://www.ouest-france.fr/monde/guerre-en-ukraine/guerre-en-ukraine-la-france-s-apprete-a-expulser-35-diplomates-russes-0bccb430-b441-11ec-9a24-5bd00f9afaef

21 En France, une opération de contre-espionnage mène à l'expulsion de six agents russes. France 24. 11.04.2022 https://www.france24.com/fr/france/20220411-en-france-une-op%C3%A9ration-de-contre-espionnage-m%C3%A8ne-%C3%A0-l-expulsion-de-six-agents-russes

22 Guerre en Ukraine : bâtisses en plein Paris, château dans les Yvelines... 10 nouveaux biens russes gelés en France. Le Parisien. 03.05.2022. https://www.leparisien.fr/immobilier/guerre-en-ukraine-batisses-en-plein-paris-chateau-dans-les-yvelines-10-nouveaux-biens-russes-geles-en-france-03-05-2022-Y6HLHT3QYVDGLOBGUNN2ZRPPVM.php?ts=1651598391414

23 Oligarques russes : ce que la France leur a confisqué. TF1. 04.05.2022 https://www.tf1info.fr/international/video-ukraine-ce-que-l-on-sait-des-dix-nouveaux-biens-d-oligarques-russes-geles-en-france-2218636.html



The International Energy Agency (IEA). Country Report 2020.

გარდა ამისა, პარიზის კლიმატის სამიტის შემდეგ მაკრონის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საფრანგეთი გეგმავს შეწყვიტოს ნავთობის ექსპორტის მხარდაჭერა 2025 წელს, ხოლო ბუნებრივი აირის 2035 წელს. ამ გადაწყვეტილებისა და ბირთვული ენერგიის წარმოების ზრდის ფონზე, საფრანგეთი, დიდი ალბათობით, არ იქნება რუსული ნავთობისა და ბუნებრივი აირის წილის შემცირების წინააღმდეგი ევროპულ ბაზარზე, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ეს პარიზის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრაში მოდის.

უახლოეს მომავალში საფრანგეთს გერმანიაში ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდის საშუალება ექნება. რამდენად მზად იქნება გერმანია რუსეთის რესურსებზე უარის თქმის შემთხვევაში საფრანგეთისგან მიიღოს მისი ელექტროენერგიის დიდი ნაწილი ჯერ არავინ იცის, თუმცა საფრანგეთს უჩნდება შანსი ბირთვული იარაღის გარდა კიდევ ერთი, ამჯერად ენერგეტიკული, ბერკეტი მოიპოვოს მის მდიდარ მეზობელზე.

დასკვნა

საფრანგეთის უკრაინისთვის გაწეული დახმარება, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად, დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით მოკრძალებულია. უკრაინას გაცილებით მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული და სამხედრო დახმარება გაუწიეს შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, თუმცა საფრანგეთს „აჯობა“ აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამაც. 21-ე საუკუნის ევროპის ყველაზე მასშტაბური კრიზისის ფონზე ასეთი შეფარდება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის იმ პრიორიტეტებს, რომლებზეც პარიზი დიდ იმედებს ამყარებდა მის ევროპულ პოლიტიკაში. კონტინენტზე ახალი ლოგისტიკური ბაზების, უკრაინისთვის უპრეცედენტო დახმარების აღმოჩენის და ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის გამაგრების პოლიტიკის დაწყების შემდეგ, შეერთებული შტატების ევროპიდან „გასვლის“ შესახებ საუბარი წარსულს ჩაბარდა. პარიზისთვის ძვირფას ევროპის „სტრატეგიული ავტონომიის“ პოლიტიკას პრაქტიკულად საფუძველი გამოეცალა. ამ ავტონომიის კიდევ ერთი განშტოება ევროპელების მიერ რუსეთთან დიალოგის დამოუკიდებლად წარმოება იყო. პუტინის მიერ 2022 წლის დასაწყისიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა და უკრაინაში რუსეთის არმიის მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ასეთი დიალოგის პერსპექტივები ნულამდე დაიყვანა.

დასავლეთის ქვეყნების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, უკრაინამ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის არმიას და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ გასულმა ორმა თვემ აჩვენა ის გადაჭარბებული წარმოდგენები, რომლებიც დასავლეთში რუსული არმიის შესაძლებლობების შესახებ არსებობდა. მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების მაქსიმუმს იყენებს, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. უკრაინული ქალაქები იბომბება ყველაზე თანამედროვე ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტებით, უკრაინელებთან ბრძოლაში ჩართულია რუსული არმიის საუკეთესო ნაწილები და მათ განკარგულებაში არსებული თანამედროვე შეიარაღება. მიუხედავად ამისა, მოსკოვმა თებერვალში პუტინის მიერ დასახული ვერცერთი სტრატეგიული ამოცანა ვერ გადაწყვიტა. უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ გაწეული გმირული წინააღმდეგობის შედეგად რუსეთის არმიამ უმძიმესი დანაკარგები განიცადა. „ბლიცკრიგი“ ვერ შედგა: ომმა გრძელვადიანი სახე მიიღო. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ უკრაინისთვის გამოცხადებული უპირობო და ისტორიული მასშტაბის მხარდაჭერის შემდეგ საფრანგეთს, სურვილის შემთხვევაშიც კი, განსხვავებული პოლიტიკისთვის საჭირო მანევრირების სივრცე აღარ დარჩა და იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებსაც საფუძვლიანად მოუწიათ მათი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და მიდგომების გადახედვა.